ცნობის ფურცელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 1826 კვირა, 2 ივნისი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1826

აზეთი ღირს: წლიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ლის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372

„ცნობის ფურცლის" მე-1827 №-რი გამოვა სამშაბათს, 4 ივნისს

მ ნომერთან ხელის მომწერლებს ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების" მე-42 №-რი

ქვრივი **ევა დიმიტრის ასული კოლპაკოვისა** გულითადი მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და მეგობართ, რომ მეორმოცე დღის წირვა და პანაშვიდი არის დანიშნული 6 თიბათვეს გორის სამების ეკლესიაში. გორის სამართველოს მდივნის

ალექსი ივანეს ძის კოლპაკოვის

სულის მოსახსენებლად. (1—331—1)

ბორჯომში
ექიმი ვ. ღამბაშიძე

იღებს ავადმყოფებს დილის $8^1/_2$—11-მდე და საღამოს 4—6 საათამდე, ყოველ დღე კვირა დღეს გარდა.

ბინა: გოფმეისტრის ქუჩაზე, საეკლესიო ქუჩის ასახვევთან, გინცენბერგის სახლი.

სასწავლებელი და პანსიონი
ა. მამულაიშვილისა

ამზადებს ბავშვებს საშუალო სასწავლებლებისათვის (გიმნაზია, რეალური და კომერციული სასწავლებლები, კადეტთა კორპუსი და სხ.(

აქვე ამზადებენ მოწაფეებს, რომელთაც დანიშნული აქვთ ხელ-მეორედ გამოცდა. (переэкзаменовка). ვერა, სლეპცოვის ქუჩა, № 13. ზემმელის აფთიაქის [illegible]

(10—330—1)

კავკასიელ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების კრება გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრების ამოსარჩევად დაინიშნა არტისტიულ საზოგადოების შენობაში 5 ივნისს, საღამოს 8 საათისთვის.

საწევრო ფულებს იღებენ გამგეობის ყოფილი წევრები. (რ. 3—3)

ფეცის
მუზეი,

ხალხის თხოვნისამებრ დაჰყოფს 5 ივნისამდის, ბევრი ახალი რამ მოემატა, სხვათა შორის ცნობილი სურათი **ნანა**. მუზეის დათვალიერება და წარმოდგენაზე დასწრება ღირს მარტო **10** კაპ. (2—326—2)

ბებია
ვ. მ. ლიმონ

ცხოვრობს სუდებნის ქუჩაზე, სახლი მირზოევისა, № 34, სადგომი თ. ანდრონიკაშვილისა, საოლქო სასამართლოს რიგზე. (0—12)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ ზედგანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

კ. ი. ჩიჩინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. ზედგანიშვილი—ნერვებისა 9—10 საათამდე. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ჭ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

დ. ა. ზედგანიშვილი—შინაგანი, ნერვებისა [illegible] 12—1 საათამდე.

ვ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ხტ. ალ. ვოინოვ—ხირურგია ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედ.-თა სნეულებანი 5—6 საათამდე.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინამეგლისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.- **ტელეფონი № 274.** (წლ.)

ქუთაისში, ვ. ბეჟანიშვილის მაღაზიაში, იყიდება „ცნობის ფურცლის"-ს №№-ბი, თითო №-რი 3 კ. დამატებით—5 კაპეიკ

დ ღ ი უ რ ი
X

1 ივნისი

ახლა საშუალო სასწავლებლის გათავების დროა.

ყმაწვილები თავისუფლად ამოისუნთქავენ, იგრძნობენ დამოუკიდებლობას, იმედებით ფრთა-შესხმულნი, სიცოცხლით აღსავსენი გაეშურებიან რუსეთსა და ევროპაში, რომ ცოდნით აღიჭურვონ და მერმე თავ-გამოდებით ემსახურონ თავის ქვეყანას.

საყვარელი დროა ეს დღეები: თავისუფლება და საზოგადო საქმე,—სხვა არაფერი არ აინტერესებს ახლა მათ, ამით არიან მხოლოდ გამსჭვალულნი, ეს ასულდგმულებს მათ; შეურაცხყოფაა მათთვის სხვა ფიქრი, სხვა გრძნობა, სხვა წადილი!

რა კარგი და სანეტარო იქნება, რომ ეს სულის მდგომარეობა სამარის კარამდის შერჩეს მათ, მუდამ გაუნათოს გონება, ამაღლოს და სიწმინდის გვირგვინით შეამკოს მთელი მათი ცხოვრება...

ნუ უღალატებთ დღევანდელს გზას, ნუ დასტოვებთ იმ ფიქრებს და გრძნობებს, რომლებისთვის სულ სხვანაირად სცემს დღეს თქვენი გული! როგორც უნდა ვუყურებდეთ ქვეყანას და კაცობრიობას, როგორი სკეპტიკებიც უნდა ვიყოთ, არ შეგვიძლია მუხლი არ მოვიდრიკოთ იმ ადამიანის წინაშე, რომლის სული მიუხედავად ყოველის ტანჯვისა და წამებისა, მუდამ წინ მიდის, [illegible] ბა არის მის მიერ ყოველდღე სიკეთის ქმნა. ვერავითარი საქმე ვერ შეედრება იმ სიდიადეს, რომელიც არის—ქვეყანაზე არსებულის ბოროტების შემცირება და გამრავლება სიკეთისა და სამართლიანობისა.

აი ასპარეზი, ადგილი—სადაც შეგიძლიანთ მიუახლოვდეთ თვით ღვთაებას და იგრძნოთ გრძნობანი, რაიც არ შეუძლიან იგრძნოს არც ერთს არსებას! რა არის ეგ სიკეთის ქმნა? ეგ არის განხორციელება იმ მცნებისა, რომელიც ორი ათასის წლის წინად ამცნო კაცობრიობას იესომ: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვით თავი შენი! ჩვენს ცხოვრებას ერთი მიზანი აქვს—ადამიანი მიუახლოვოს ადამიანს და მოსპოს ის უფსკრული ხრამი, რომელიც არსებობს კაცთა შორის. ერთის ჭირი უნდა იყოს მეორეს ჭირი, ერთის ლხინი—მეორეს ლხინი, აი რა გვიანდერძა ჩვენ იესომ, აი რას უნდა ემსახუროთ თქვენ თავგამოდებით! თქვენი საქმეა შექმნა იმისა, რომ იესომ არ გითხრათ: „მშიერ ვიყავ, და არა მეცით ჭამადი! შიშველ ვიყავ, და არ შემმოსეთ"!..

უნდა ხედავდეთ მტირალის ცრემლებს, უნდა გრძნობდეთ ტანჯულის ტკივილებს, თქვენი არსება უნდა შეუერთოთ მის არსებას, და მაშინ შეიძლებთ: სიკეთე კი არ გიყვარდეთ მხოლოდ,—სიკეთე ქმნათ! რამდენჯერ სისწრაფით დაუწყია ცემა თქვენს გულს, რამდენჯერ აღფრთოვანებულა თქვენი გონება, როდესაც წაგიკითხავთ წიგნში კაცობრიობის კეთილდღეობისათვის თავდადებულთა ცხოვრება! მოიგონეთ სამასი სპარტაელი, არისტიდი, ბრუტოსი, სპარტაკი, პირველი ქრისტიანები, მიუნცერი, სოკრატი, გალილეი და სხვ. და სხ. რა აღტაცებით უკრავთ თქვენ ტაშს, როდესაც სცენაზე ხედავთ სოლომონ ლეონიძეს, ორლეანელ ქალწულს, ურიელ-აკოსტას, მარკიზ პოზას! ყველაფერი ეს „არაკად" გინახავთ და გაგიგონიათ. ახლა კი, რასაც შორიდან ეთაყვანებოდით და ეალერსებოდით, თქვენ თვითონ უნდა მოიქმედოთ, „არაკი" საქმედ და ნამდვილად აქციოთ, იდეალი სისხლით და ხორცით შემოსოთ და შთაბეროთ სული. ამას შეიძლებთ მხოლოდ მაშინ, როდესაც სიკეთე შეიქნება თქვენი სისხლი და ხორცი!..

სიკეთის სიყვარული უპირველესად და უმთავრესად! სიკეთის ქმნა—აი თქვენი ცხოვრების საგანი. მაგრამ თქვენ გინდათ ცოდნა, მარტო სიკეთის სიყვარული არა კმარა. უცოდნელი თქვენ დაემსგავსებით იმ დედას, რომელსაც უყვარს შვილი, მაგრამ კი არ იცის, როგორ ემსახუროს მას, რო- [illegible] რომელიც გიჩვენებთ თქვენ გზას უკეთესს, უფრო ახლობელს, უფრო ნაყოფიერს. ამიტომ უნდა იმუშაოთ ბევრი, ძლიერ ბევრი და შეიძინოთ ცოდნა საფუძვლიანი, სისტემატიური; უნდა განავითაროთ თქვენი გონება განსაკუთრებით საზოგადოებრივ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა შესწავლით. რამდენად მეტი გეცოდინებათ, იმდენად ღონიერი იქნებით და ბევრის შემომქმედი.

მაგრამ არის კიდევ ერთი ძალა. არც ყვარული, არც ცოდნა ჯერ კიდევ სა არ ჰქმნის. საჭიროა ენერგიულობა, ხასი სიმტკიცე და ძალა. ამას კი მოიპო **ცხოვრებით**: თქვენ უნდა **იცხოვროთ** ღ დანვე. თქვენი არსება მთრთოლვარე სიმ ვით ყოველ საზოგადო მოვლენაზე ხმას და იძლეოდეს, გრძნობდეს ქვეყნის მცირ ღიმილს და ტკივილს, დღეიდანვე უნდა შეეჩვიოთ თქვენ საზოგადოებრივობას...

მაშ ცოდნა და ენერგიულობა, რომ ემსახუროთ სიკეთის და სამართლიანობის საქმეს.

თქვენი უფროსი ძმა სიყვარულით მივესალმები თქვენს ახალ ცხოვრებას!

ნიკუშა

ფელეტონი

დასაფლავება

ძინ! ძინ! ძინ!..

—„შენ გაძღე გაუმძღარი, მშობელო მიწავ!"

ძინ! ძინ! ძი-ინ!.. მკაფიოდ, მაგრამ მოწყენილად გადასძახის სოფელს მაღალზე გადამდგარი ეკლესიის სამრეკლო და სევდიანად ატყობინებს, რომ ამ საღამოს აქაურმა სასაფლაომ უნდა მიიბაროს ჯამულეთის გვამი, დღეს უნდა გაუღოს მას სამარის შავი კარები...

—„შენ გაძღე გაუმძღარი, სამშობლო მიწავ!

„ახლა ის ათამდე კაცს ძლივს მიაქვს და უწინ კი"...

ბიქტორს თვალწინ დაუდგა ჯამულეთი თავის ნაცრისფერს ჯორზე, როდესაც ამ ეკლესიის გალავანს ჩამოუვლიდა. დაუპირდაპირდებოდა თუ არა ეკლესიას, ჩამოხტებოდა ჯორიდან, მოწიწებით გადაიწერდა პირჯვარს და ხმა მაღლა იტყოდა:

— ღმერთო შენ შემეწიე!

ისევ შეჯდებოდა ჯორზე და მიადგებოდა ვისამეს ქისკარს.

— გოგიე ხარ შინ, გოგიე?

სახლის კარი გაიღებოდა და გამოდიოდა ქალი, რომელიც დაინახავდა თუ არა ჯამულეთს, თავ-სახურს გაისწორებდა, კისერს განზე გადასწევდა სირცხვილისა, თუ შიშისაგან და კაბას გაიბერტყდა.

— გოგიე სადაა, მარინე?

— ყანაში გეახლა, ბატონო. ჩამობძანდი სახლში, ბატონო, დეიმუხლე!

— არა, გმადლობ! თუ ქალი ხარ, უთხარი, რომ მეორეთ ნულარ მომიყვანს! მალე მიშოვნოს ფული თვარა... „თვარა"... მარინემ მშვენივრად იცოდა, თუ რას ნიშნავდა ეს „თვარა". ამ სიტყვაში ჩამალული იყო ბოქაული, ოჯახის აწიოკება, ტირილი, შიმშილი და სხვა ასეთი მშვენიერება სიღარიბისა. ხოლო როდესაც ეს „თვარა" კანონიერ სისრულეში მოვიდოდა, ის კვლავ შეჯდებოდა თავის ნაცრისფერ ჯორზე, წავიდოდა სახლისკენ, გაუვლიდა გვერდში ეკლესიას, კვლავ ჩამოხტებოდა ჯორიდან, გადაიწერდა პირჯვარს და იტყოდა:

— ღმერთო შენ შემეწიე!

და „ღმერთიც სწყალობდა ჯამულეთს" როგორც სოფელში ამბობდნენ—ის ოდესმე გაცვეთილი, სხვასავით მშიერი და ძვალტყავა ეხლა დიდი სიმდიდრის, მშვენიერი ოჯახის და, ასე გასინჯეთ, მშვენიერი ცოლის პატრონიც კი შეიქნა, ვინაიდან სიმდიდრე ისე ვაჭრობს ადამიანით, როგორც ძროხის ხორცით და სხვა ასეთი ხორაგეულობით. მისი ორ სართულიანი, წითლად გადახურული სახლი ჯერ კიდევ შორიდან იპყრობდა გამვლელის ყურადღებას და არა ერთსა და ორს აღუძრავდა გულში შურს. ხოლო მისმა სიმდიდრემ ერთი ორად იმატა მას შემდეგ, რაც ქალაქში გადაიტანა თავისი მოქმედება და შავი ზღვის ერთ-ერთი ქალაქის ნავთ-სადგური იჯარით აიღო.

„სამშობლო ქვეყანავ! წამოიძახა გულში ბიქტორმა,—განა შეიძლება კი ჩემსავით უყვარდეს ვინმეს? შენ და მხოლოდ შენ გეკუთვნის ჩემი სიცოცხლე! შენ და მარტო შენ შეადგენ ჩემ მიზანს! შენ და მხოლოდ შენ მაკავშირებ ცხოვრებასთან!.. და შენ კი, შენ გიყვარვარ, ჩემო სამშობლოვ? არ შეიძლება, უნდა შეგაყვარო თავი, თავს მოვიკლავ და, სხვა თუ არა გამივიდა, სიკვდილით მაინც დავიმსახურებ შენ სიყვარულს! და აი, ჩემო ძვირფასო, ჯამულეთს უნდა ვუჩივლო შენთან, დამიგდე ყური! „ვეებერთელა გემი დიდის ქშენით უახლოვდებოდა შენს ნაპირებს, გაშმაგებული ატრიალებდა ის თავის ბორბლებს, რომლებიც თითქოს დასცინიანო ტალღების ამაო გამკლ ვებას, დამცინავის ღრენით გადადიოდნენ ნა ბიჯებს და გემიც,—თითქოს იგრძნო ჩე სულ-წასულობა, ასე მეგონა, უფრო და უფრო ჩქარობდა... ვისაც რამდენისამე ხნის დაშორება არ გამოუცდია თავის სატრფოსი, იმას არ გამოუცდია არც ნამდვილი სიყვარული და მეც, თუმცა დოქტრინა წამ და უწუმ ჩამძახოდა ყურში, რომ კაცი ყოველგან კაცია და მთელი ქვეყანა იგივე სამშობლოაო, მეც, შენზე დაშორებულს, უფრო მეტად მიყვარდი, უფრო მენატრებოდი, მაგრამ მაინც უბედური და ცხოვრებისაგან გარიყული მეგონა ჩემი არსებობა უცხოეთში. არის ხომ ისეთი მცენარე, რომელიც ხმება თუ უცხო ქვეყანაში გადარგე. ამის გამოც ადვილი წარმოსადგენია, თუ რა რიგად აძგერდა გული, როდესაც შორიდან შენს ნაპი-

საზღვარ-გარედ

პრუსია. გერმანიის იმპერატორმა ვილჰელმ მეორემ ქ. მარიენბურგში წარმოსთქვა „პატრიოტული“ სიტყვა, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ საჭიროა საგანგებო, არაჩვეულებრივ ზომების მიღება პოლონელების წინააღმდეგო. ვილჰელმ მეორეს პირველ მინისტრმა ბიულოვმა, როგორც უკვე მოხსენებული გვქონდა, გამოუცხადა „ფიგარო“-ს კორესპონდენტს, რომ „კურდღლები“—გერმანელები იძულებული არიან სასტიკი ზომები მიიღონ „ბაჭიების“—პოლონელების წინააღმდეგ, რადგან ესენი საშინლად მრავლდებიან და გერმანულ ელემენტს ხიფათს უმზადებენო.

ისტორიკოსისა და პოლიტიკოსისათვის ფრიად საინტერესოა ზემოდ აღნიშნული სიტყვები—იგი ოფიციალური დამტკიცებაა იმისი, რომ „მაღალი“ კულტურა გერმანელებისა „დაბალ“ კულტურასთან ბრძოლაში დამარცხებული შეიქნა, რასაკვირველია, არა „კულტური“-ს მიზეზით, არამედ იმიტომ, რომ ბრძოლა ეროვნობის წინააღმდეგ ნამდვილ კულტურის უარყოფაა.

პოლონელების ნიჭიერმა ერმა ადრე შეიგნო თავისი ვინაობა, ადრე შეიგნო კულტურის მნიშვნელობა ვინაობის ამ შენახვისათვის და ბევრი რამ სასარგებლო შეიძინა უფრო განათლებულ გერმანელისაგან, რომელიც სცდილობდა მის გაგერმანელებას. მაგრამ ეს შეძენილი გადმონერგა პოლონურ ეროვნულ ნიადაგზე და ამ გადმონერგვით ძლიერი იარაღი დაიკავა ხელში. პრუსიის ძალმომრეობითი პოლიტიკა პოზნანში, პოლიტიკა „ყოვლის შემძლე“ ბისმარკისა, იმას იყო და არის მოწადინებული, რომ პოზნანის პოლონელები პოლონელები აღარ იყვნენ, რაც ყოვლად შეუძლებელია. შეიძლება მოისპოს რომელიმე ხალხის დამოუკიდებელი სახელმწიფო არსებობა, მაგრამ თვით ხალხის მოსპობა-კი, იმ ხალხის, რომელსაც ისტორიულად უცხოვ- [illegible] წარმოუდგენელია, რამდენი მილიონიც არ დახარჯონ ამ მიზნისათვის.

საყურადღებოა, რომ გერმანიის ერთი პოლიტიკური პარტია—ცენტრი, რომელიც მანულ „პატრიოტისმს“ მაინცა და მაინც ეწინააღმდეგება და ყოველთვის კომპრომისების გზას ადგია, ამ კითხვაში გაბედულად ეწინააღმდეგება პრუსიის მთავრობის პოლი- კას, რადგან ხედავს, თუ რამდენად მავნე- ია იგი თვით გერმანელების ინტერესე- თვის. ამ პარტიის ორგანო „კელნიშე კსცაიტუნგი“ სწერს, სხვათა შორის, ლოვის ცინიკურ შედარების გამო, რო- ც გუშინ გვქონდა მოყვანილი. „თუ ლოვს სურს ლოღიკა იყოს მის პოლი- კაში, იგი უნდა პირდაპირ თხოულობდეს ჭიების“ (პოლონელების) სრულებით მო- ბას. მეოცე საუკუნის რეალური პოლი- კოსი, წარმომადგენელი კულტურულ ერი- უბრუნდება ველურ აზრს—ადამიანებს მხეცებს ადარებს და მათ გაჟლეტას თხოულობს. გაიხსენეთ გრაფო (ბიულოვს ეუბნება გაზეთი), რომ პირადათ თქვენ და თქვენი თანამშრომლები ცილის წამებად სთვლიდით პოლონელ დეპუტატების აზრს, რომ მთავრობა პოლონელებს ებრძვისო: ჩვენ ხალხს კი არ ვებრძვითო, ამტკიცებდით თქვენ, არამედ აგიტატორებს, რომელნიც მოწადინებულნი არიან დაარღვიონ ეხლანდელი სახელმწიფო კავშირიო. ნუ თუ არ ხედავთ, როგორი იარაღია მიეცით ხელში იმ აგიტატორებს? ეს იარაღია თქვენი სიტყვები, ცინიკური და მოუსაზრებელი. თუ პოლონელ ხალხის გამრავლება ბუნებრივი კანონია, რა შედეგი უნდა მოჰყვეს ყველა თქვენ საგერმანიზაციო ზომებს, გერმანელ გლეხების პოზნანში დასახლებისაგან დაწყებული პატარა მოსწავლეთა ცემა-ტყეპით გათავებულით. ერთში კი მართალი ხართ თქვენ, გრაფო: ისეთის ზომებით, როგორსაც ეხლა ხმარობთ, მომავალ წელს თქვენ გეყოლებათ თხუთმეტ ბაჭიის მაგიერ ასი, და მთელი თქვენი პოლიტიკა მართლა იმ კურდღლების ღირსია, რომელთაც თქვენ შეადარეთ გაბატონებული გერმანელები“.

ინგლისი. მთავრობამ წინადადება შეიტანა პარლამენტში, რომ სარდალი კიტჩენერი დაჯილდოვებულ იქმნას 50-ათას გირვანქა სტერლინგის (ნახევარი მილიონ) დასაჩუქრებით. ლიბერალების მეთაურმა კემპბელ-ბანერმანმა მხარი მისცა მთავრობის წინადადებას და ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ საქმე მშვიდობიანად გათავდებოდა. მაგრამ ირლანდიელ დეპუტატებმა „ცხარე ინციდენტი“ შექმნეს. პირველად წარსდგა ირლანდიელების მეთაური დილონი: „ირლანდიელების პარტია პროტესტს აცხადებს მთავრობის წინადადების წინააღმდეგ ჯერ იმიტომ, რომ იგი ჰკიცხავს მთელ ომიანობას; მეორე, იგი აღშფოთებულია ინგლისელ ჯარის ქცევით ომის დროს—ინგლისელებმა გაანადგურეს ქვეყანა, გადასწვეს სახლები, შეჰქმნეს საკონცეტრაციო ბანაკები, სადაც მოამწყვდიეს ქალები და ბავშვები, მესამე—ინგლისის გამარჯვებამ წინ დაგვიყენა ძნელად ასახსნელი პრობლემა (ირლანდიელები [illegible]

პოლკოვნიკი სანდესსონი (ირლანდიელი უნიონისტი) მომხრეა მთავრობის წინადადებისა და აცხადებს, რომ იგი ლაპარაკობს ირლანდიელ ერის და ჯარის კაცების უმრავლესობის სახელით (ირონიული შენიშვნები ირლანდიელების მხრივ). ლაბუშერი (რადიკალი): მე დიდათ ვაფასებ კიტჩენერს, რომელსაც ყოველთვის ახსოვდა, რომ ომის უმთავრესი მიზანი ზავის ჩამოგდებაა. მაგრამ მე წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ იგი ფულით დააჯილდოვონ. მე გაკვირვებული ვარ, რომ მთავრობა ერთ გროშსაც კი არ აძლევს ახალშენების მინისტრს ჩემბერლენს, რომელმაც ყოველი ღონე იღონა, რომ სამხრეთ-აფრიკაში ომი გამოეწვია (ტაშის ცემა და პროტესტები).

რედმონდი (ირლანდიელი): მე წინააღმდეგი ვარ დავასაჩუქროთ კიტჩენერი, რომელიც ერთად-ერთი გენერალია ქალებისა და ბავშვების წინააღმდეგ მებრძოლი.

ასეთმა ლაპარაკმა დიდი აურ-ზაური გამოიწვია პალატაში. ბევრი თხოულობდა, რომ რედმონდს უკანვე წაეღო თავისი სიტყვები. რედმონდი: მე არ ვიცი, რომელი სიტყვები უნდა წავიღო უკან. თუ სახეში ის სიტყვები გაქვთ, სადაც მე ვამბობ, რომ კიტჩენერი პასუხის მგებელია 15-ათას ბავშვების სიკვდილში, ეს ჩემი ულრმესი რწმენაა და ამიტომ კატეგორიულად უარს ვამბობ ეს სიტყვები უკან წავიღო.

ბოლოს მაინც ხმის უმეტესობით მთავრობის წინადადება მიღებულ იქმნა.

ახალი ამბავი

◆ პეტერბურგის სამედიცინო ინსტიტუტში დააწესეს გარდაცვალებულის **დიდი მთავრინა ოლგა თეოდორეს ასულის სახელობაზე ორი სტიპენდია** ტფილისის დიდი მთავრინა ოლგა თეოდორეს ასულის სახელობაზე არსებულ სასწავლებლებში კურსდამთავრებულ ქალთათვის. ქალები ტფილისისავე მცხოვრებნი უნდა იყვნენ. თითო სტიპენდია 420 მანეთია.

◆ ჩვენ გვატყობინებენ, რომ სასულიერო წოდებას განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია **სექტანტებით** დასახლებულ ადგილებისათვის კავკასიაში. ამის გამო დაევალა მისიონერებს მუყაითად შეუდგნენ სექტანტების საქმეს და შთააგონონ მათ, რომ შეუერთდნენ მართლ-მადიდებელს ეკლესიას.

◆ როგორც შევიტყეთ, მალე შეუდგებიან რკინის გზის გასაყვან ადგილების გამოკვლევას **ერევნიდან არაქსისკენ**. წინანდელ პროექტს, რომლითაც გზას ჯულფაზე უნდა გაეარა, თავს ანებებენ და ირჩევენ ახალ გზას, რომელიც წავა ოთხმოცი ვერსის მანძილზე კივრაჩისკენ, ხოლო კივრაჩიდან შაჰტახტში· ამ წლის შემოდგომისთვის მზად უნდა იყოს დაწვრილებითი პროექტი და ხარჯთ აღრიცხვა. ახალი გზის შენებას შეუდგებიან, როგორც ფიქრობენ, მომავალი წლის გაზაფხულიდან.

◆ ტფილისის გუბერნატორმა არ დაამტკიცა ბ. სერობიანცის არჩევა **სახელოსნო მოურავად** და დაავალა სახელოსნო მმართველობას ხელახლავ მოახდინოს არჩევნები.

◆ 20 ივნისს ტფილისის გიმნაზიებისა და რეალურ სასწავლებლის მოწაფენი, რიცხვით 50-მდე, კვლავ წავლენ სამოგზაუროდ. ეკსკურსიის გამგეთა და ხელმძღვანელებად იქნებიან 1-ლ გიმნაზიის ინსპექტორი კუმსკოი, იმავე გიმნაზიის აღმზრდელი ნაიდენოვი, მე-2 გიმნაზიის მასწავლებელი იაგულოვი და რეალურ სასწავლებლის მასწავლებელი ი. ს. ღულაძე. მოგზაურები ხარკოვზე გაივლიან და მივლენ მოსკოვში, იქიდან იაროსლავს გაივლიან და ვოლგით უკანვე დაბრუნდებიან. თითო ექსკურსანტს 30 მან. ხარჯი დასჭირდება.

◆ როგორც მოხსენებული გვქონდა ამას წინად, ქალაქის გამგეობამ კუკიაში, ნიკოლოოზის მოედანზე, მილოვის სახლში მოიწონა ბინა ქალაქის **ხორციან დუქნის** გასამართავად. თუმცა ადგილიც და სადგომიც ძალიან მოხერხებულია სავაჭროდ, მაგრამ სადგომს დიდი გადაკეთება უნდა, რაზედაც სახლის პატრონი მილოვი არ დასთანხმდა. ქალაქს ამ სადგომისთვის 700 მანეთი აქვს გადადებული და ახლა სხვა სადგომს ეძებენ.

◆ გორის მაზრის დაბა ცხინვალსა და მის გარეშემო ზოგიერთ სოფლებში **გაჩენილა ყვავილი**. ადგილობრივ ყვავილის საწინააღმდეგოდ საშუალებათა მისაღებად ხვალ, 3 ივნისს ცხინვალში მიემგზავრება საგუბერნიო ექიმის თანაშემწე რ. დ. მაჭავარიანი.

◆ მთა წმიდის **მამა-დავითის ეკკლესიასთან** არსდება სამრევლო სამზრუნველო. 3-ს ამ თვისას, დილის 11 საათზე, ხსენებულს ეკლესიაში დანიშნულია კრება წევრების ამოსარჩევად.

◆ სიღნაღის მაზრის სოფელ მაჩხაანის სამკურნალო ქსენონის გამგე ექიმს ტურიაშვილს, სხვა-და-სხვა გარემოებათა გამო, თავი დაუნებებია თავის თანამდებობისათვის.

◆ როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, გორის მაზრის სოფელ მეჯვრის-ხევში ადგილობრივ მცხოვრებლებმა შარშანვე განჩინება დაადგინეს თავიანთისავე საშუალებით გახსნან **სამკურნალო ქსენონი**, სადაც უნდა მოიწვიონ ექიმი, ფერშლები და ბებია ქალი. ახლა მეჯვრისხევში აღნიშნულ მიზნისათვის სახლი შეუმზადებიათ და მის დასათვალიერებლად ხვალ, 3 ივნისს, მიემგზავრება ტფილისის საგუბერნიო ექიმი ბ-ნი ტ. ქიქოძე.

◆ გუშინ, 1 ივნისს ქალაქის საყასპოებში დაინგრა ერთი კედელი და კინაღამ ქვეშ მოიტანა სალახები. ტფილისის გამგეობაში მთელი განყოფილებაა არქიტექტორებისა და თავიანთ შენობისთვის-კი ყური ვერ უგდიათ.

◆ რადგანაც ხვალ, 3 ივნის უქმეა, ამიტომ **ტფილისის საბჭოს სხდომა** გადაიდვა ოთხშაბათს, 5 ივნისისათვის.

◆ ტფ. ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა მიეცეს ქალაქის მმართველობის ყოფილ მსახურს იუზბაშევს ქალაქის კასიდან 200 მან. შემწეობა.

◆ ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა სამ-სამი მანეთით დაასაჩუქრონ ის მუშები, რომელნიც ოსმალოს სომხეთიდან ჩამოვიდნენ ტფილისში და რამდენიმე წელიწადია აქ მუშაობენ. ამასთანავე გამგეობამ გადასწყვიტა დღეიდან აღარ მიიღონ ეს მუშები ქალაქის სამუშევრებში.

◆ იაკობ მამინაიშვილს უთხოვია ქალაქის თვით-მმართველობისათვის შემცირდეს მნაცაკანოვის ხიდის საიჯარო გადასახადიო, რადგან უკანასკნელ წლებში ვზარალობო. ამ თხოვნას მალე საქალაქო საბჭო განიხილავს.

◆ 30 მაისს, პოლიციის მე-4 ნაწილში, იუზბაშევის სახლში მცხოვრებ ნიკოლოოზ სხირტლაძის ბინიდან ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ მოუპარავთ 300 მან. ღირებული ოქროს საათი ძეწკვით. ქურდი ჯერ ვერ მიუგნიათ.

◆ 30 მაისს, ალექსანდრეს ბაღში მძინარე ტფილისის მოქალაქე სერგო პოლოსოვისათვის ტფილისის მოქალაქე ხუდადოვს მოუპარავს ვერცხლის ქამარი 60 მან. ღირებული. ხუდადოვი დააპატიმრეს.

◆ სადგურ ფოილოდან იტყობინებიან, რომ 31 მაისს 367 ვერსზე საქონლის მატარებელი წამოეწია ლიანდაგზე მიმავალ თათარს, რომელიც ქვეშ მოიყოლია და მარჯვენა ხელი მოსწყვიტა.

ქუთაისის ახალი ამბები

∾ 28 მაისს ტფილისის ქუჩაზე, სასტუმრო „იმპერიალი“-ს მახლობლად ქუთათური ვაჭრის

რებს მოვკარ თვალი... „გემი კი ჰქშინავდა და, ჰქშინავდა, უზარმაზარის მკერდით შეუპოვრად აპობდა ტალღებს, უმატებდა ხმაურობას და ამ ხმაურობაში მე დედის ნანასავით მესმოდა დიდი პოემა მამულის სიყვარულისა, უმაღლესი აღტაცება შეყვარებულისა... მე მოვადექი X-ს ნაპირს და მინდოდა სალამი მომეცა შენთვის, გადმოვმტარიყავ და მეკოცნა შენი მიწისა- ვის, რომ უცბად ჯამულეთის ხმაზე ოცდა ათამდე კურტანი წამოიჭიმა წინ... ცივი წყალი გადაევლო ჩემს აღტაცებას და კურტანმა, ოხერმა კურტანმა მტვრად მიქცია ჩემი ოცნება, რომელიც, ვინ იცის, რანაირ ტანისამოსში გხატავდა შენ!

„კურტანი! ეს ხომ შენი უნაგირია, სამშობლო მხარევ, არსებობა შენი! ეს ხომ ამ კურტანს ქვეშ წოლაა და ბრძოლა შენი ხომ ბრძოლაა ამ კურტანთან, ბრძოლა გაუთავებელი, ულმერთო, მაგრამ დაუბოლოვებელი კი და, აი, ჯამულეთიც, ჩემი მეზობელი, შენი შვილი ჯამულეთი, წინამძღვარი გამხდარა შენის კურტნისა!. დაფიქრდი ამაზე, ჩემო სამშობლოვ, და იქნება მითხრა განაჩენი“!

ძინ! ძ-ი-ინ! ძ-ი-ინ! გადაიძახის ზარის ხმა და მას ბანს აძლევს ჯამულეთის ნათესავთა მწუხარების ხმა.

„—შენ გააძღე გაუმაძღარი, სამშობლო მიწავ“!

ასე ჰფიქრობდა ბიკტორი და თან თავდახრილი, ნელის ნაბიჯით მიდიოდა სახლისაკენ. სალამო იწყებოდა და ჩამავალის მზის სხივზე ჩიტების ჟივილ-ხივილი რაღაც არა,—ჩვეულებრივად გამოისმოდა სამგლოვიარო პროცესიის ხმაურობაში. ბიკტორმა გადაუარა წინ მიცვალებულს, გადაუხვია მეორე გზაზე, გაჩერდა და ცქერა დაუწყო.

დიდი ხალხი მიჰყვებოდა მიცვალებულს. ეტყობოდა, კარგი ნაპურ-ღვინევი იყვნენ, რასაც საკმაოდ ამტკიცებდა აწითლებული ლოყები და ანთებული თვალები მოტირალთა. ბიკტორი დიდ ხანს ატანდა მიცვალებულს თვალს და შემდეგ, როცა მიცვალებული მოსახვევს ამოაფარეს, მან კარგა ხმა მაღლა წაილაპარაკა:

— შენ გააძღე გაუმაძღარი, სამშობლო მიწავ!

— კაცო, შენ ვეღარც სიკვდილმა შეგარიგა ჯამულეთთან? სხვისა სიკვდილი ხომ ლმობიერად უნდა გვხვდიდეს ჩვენ!

დაელაპარაკა ბიტკორს ვიღაცა და მხარზე ხელი ჩამოადვა. მის გვერდში გიორგი იდგა, მისი მეგობარი.

— არიან ისეთი ადამიანები, რომელნიც სიკვდილს შემდეგაც გძულს და სიკვდილს შემდეგ, რომ სიყვარული და სიძულვილი არ ვიგრძნოთ ადამიანისადმი, მაშინ ხომ ისტორიაც უნდა, წავშალოთ რადგან ეს ორი ნიჭი სწერს მას.

— მიუხედავად ამისა სიძულვილი მაინც არ უნდა გავიხადოთ პრინციპად, ბიკტორ· სიყვარულით მეტი კეთდება!

— დიახ, მართალია, მაგრამ სიყვარულის ქადაგება მაშინ შეიძლება, როდესაც ენას გულის გესლში ამოავლებ და იმისგან შეზადილ სიტყვებს მოპირდაპირეს შემოსტყორცნი. რამდენად მეტს ჰნერგავ ადამიანის გულში ზიზღს რაიმე საგნისადმი, იმდენათ ძლიერი მქადაგებელი ხარ სიყვარულისა, ვინაიდან წარმოუდგენელია სიყვარული, თუ სიძულვილი არ შეგიძლია. როგორ ჰფიქრობ, რა იქნებოდა სახარება, რომ ის ფარისეველთადმი ზიზღით არ იყოს გაჟღენთილი? აი, ასეთ ზიზღს ჰქვიან გამაკეთილშობილებელი ზიზღი. ეს ამაღლებს ადამიანს... მართლა, იცი, რას ვფიქრობდი მე გზაზე?

— დარწმუნებული ვარ, შენი ფიქრი ჯამულეთის წყევას არ გასცილდებოდა. მაინც რას ჰფიქრობდი?

— აი რას: ჯამულეთი ხომ მოკვდა და დღეს მარხვენ. ეს ფაქტია. მე კი აი რა სულელური კითხვა დამებადა: რამდენ ხანს გაგვაბედნიერებს ჯამულეთი თვისი სიკოცხლით. კიდევ—რამდენ ხანს იცოცხლებს ის მეთქი. პასუხი ვერას გზით ვერ მივეცი ამ კითხვას. შეიძლება შენ მიპასუხო, გიორგი?

ვერც გიორგიმ მისცა პასუხი, მხოლოდ გულში გაიცინა.

დარწმუნებული, რომ მკითხველიც პასუხის მაგიერ გიორგის მიბაძავს—შეიძლება სახალხოდაც გაიცინოს—მე ვუზიარებ ამ ამბავს, რომლის მოწამე უნებურად ვიყავი.

სპირიდონ მცირიშვილი

ალახვერდიევის გამოქანებული ეტლი დაეტაკა ერთ სოფლელ შვიდი წლის ბავშვს და ბარძაყებზე გადაუარა. რადაც სასწაულით ბავშვს არაფერი მოსტეხია. პირველი შემწეობა დაშავებულ ბავშვს აღმოუჩინა ექიმმა გ. ი. გოკიელოვმა. როგორც ექიმი ამბობს, ბავშვს არაფერი გაუჭირდება. საჭიროა, პოლიციამ ყურადღება მიაქციოს მეეტლეებს, რომელნიც ისე ქუდმოგლეჯილი დააჭენებენ ცხენებს, თითქოს სასამართლოში დაჯარიმების ეშინოდეთ.

— როგორც გავიგეთ, ზოგიერთ პროვიზორებს განუსაჩივრებიათ საქიმო განყოფილების გადაწყვეტილება, რომლითაც სოხუმში მეორე აფთიაქის გახსნის ნება მიეცა დ. ჰ. კოკოჩაშვილს.

ქბ. ელ. ჯინოვისა გვთხოვს დავბეჭდოთ შემდეგი: „ნება მიბოძეთ უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო იმ პატივცემულ პირთ, რომელთაც წელს, მაისში ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისაგან მიღებულ დივიდენდის ფულიდან შემოსწირეს ცოტაოდენი წვლილი ჩვენდამი რწმუნებულ წიგნთ-საცავ სამკითხველოს; ამ ფულისა შესდგი 74 მანეთი და 13 კაპ. ამასთანავე დიდ მადლობას ვუძღვნი პატივცემულ გ. ნ. სტროევს, რომელმაც შემოსწირა 5 მანეთი, და ვ. არდიშვილს, რომელმაც შემოსწირა მ. გორკის თხზულება III ტომი.“

რუსეთის ქრონიკა

∝ რამდენი ხანია რუსეთის პრესსა და საზოგადოება და მთავრობის ავტორიტეტული წარმომადგენელნიც ლალადებენ, რომ რუსეთის კანონები განქორწინების შესახებ მეტად დაძველდნენ, აღარ შეეფერებიან ახალ დროის მოთხოვნათა და კულტურის მდგომარეობას. ამ კანონების შეცვლის საჭიროებას საზოგადოება და პრესსა კარგა ხანია თხოულობენ, უმთავრესად-კი ამ ბოლო წლებშია ამაზედ ბევრი ლაპარაკი. ახლა, როგორც პეტერბურგის გაზეთები იტყობინებიან, უბრალო ლაპარაკი თავდება და საქმე იწყება: იუსტიციის სამინისტროში არსდება განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს საკითხი განქორწინების საქმის გარჩევის სამოქალაქო სამართალში გადაცემის შესახებ. სასულიერო მთავრობის წარმომადგენლებად კომისიაში იქნებიან: უწმ. სინოდის იურისკონსულტი ბელევსკი და სინოდალურ კანცელარიის გამგის თანაშემწე გრიგოროვსკი. კომისიის მოქმედება უკვე დაიწყო.

∝ სათეატრო კანონების რეფორმისათვის დანიშნულ კომისიას ერთხმად დაუდგენია, რომ თეატრს უნდა მიეცეს დიდი სახელმწიფო მნიშვნელობა და მთავრობამ უთუოდ უნდა იზრუნოს მის წარმატებისთვისო.

პრესსა

ბ. ბ. სუვორინმა, კამაროვმა, ველიჩკომ და სხვა ამგვარებმა დააარსეს პეტერბურგში „რუსეთის საზოგადოება“ მზგავსად საფრანგეთის ცნობილ ლიგისა; საზოგადოებას საგნად აქვს სამშობლოში „კონსერვატიულ აზრების“ დამკვიდრებას ხელი შეუწყოს. ამ უცნაურ საზოგადოებას ახლა განყოფილება დაუარსებია პარიზში, რაც ძალიან აკვირვებს არა თუ რუსულ გაზეთებს, არამედ საფრანგეთის პრესსასაც. აი, რას იწერება „ადესკი ნოვ.“ პარიზელი კორესპონდენტი:

პარიზში დაარსებულმა „რუსეთის საზოგადოების“ განყოფილებამ დაიწყო ყოვლად უტაქტო და შეუფერებელი მოქმედება: ყველა ერების წარმომადგენელთ, წოდებისა და მდგომარეობის გაურჩევლად, დაუგზავნა ცირკულიარი და სთხოვა —ჩვენს საზოგადოებას შემოუერთდითო; ჰბეჭდავს ფრანგულს „პატრიოტულს“ გაზეთებში წერილებსა და მოწოდებათ; უგზავნის რესპუბლიკის პრეზიდენტს დეპეშებს და სხვა-და-სხვა. რალა თქმა უნდა, „რუს პატრიოტთა“ ამგვარი თავხედური მოქმედება უცხო სახელმწიფოში ყველა ფრანგს აკვირვებს. თვით „საფრანგეთის ლიგაც“ ჰგმობს არამკითხე საზოგადოების ფარფაშობას. ყველა სერიოზული გაზეთები, კონსერვატულიც კი პროტესტს აცხადებენ საფრანგეთში საზოგადოების საქმის გადმოტანის წინააღმდეგ. გაზეთები ამბობენ, რომ საფრანგეთ-რუსეთის კავშირი სრულიადაც არ ავალებს საფრანგეთს ხელი შეუწყოს რუსეთის შინაურ საქმეებს. გაზეთები ურჩევენ რუს-პატრიოტთ მალე მოსპონ ხსენებული განყოფილება პარიზში, თორემ რუსის სახელი შერცხვება საფრანგეთშიო.

⁂

გაზ. „მოსკ. ვედომოსტ“-იც (№№ 144 და 145) შეეხო ჭიათურის მარგანეცის გაჭირვებულ მდგომარეობას. წერილის ავტორი ყველაზე უწინარესს აღნიშნავს ბრაზილიის მარგანეცის კონკურენციას, მაგრამ ამას არა სთვლის ჩვენის შავის ქვის კრიზისის უმთავრეს მიზეზად. ავტორის აზრით, ჭიათურის მარგანეცი დასცა თვითონ შავის ქვის ადგილობრივ დამუშავების მოუწყობლობამ და რკინის გზის გადამეტებულმა ტარიფმა.

გაზეთის სიტყვებით მარგანეცის წარმოება დღეს წვრილ მწარმოებლების ხელშია და ეს აბრკოლებს ტეხნიკის გაუმჯობესობას. ჩვენის აზრით, ტეხნიკის გაუმჯობესება, შავის ქვის უფრო იოლად დამუშავება და მისი ჩამოზიდვა სადგურამდის მეხანიკურის საშუალებით, მუშების მდგომარეობის გაუკეთესება,—ეს ყველაფერი შეუძლიათ წვრილებს შეერთებულის ძალებით თავის „საბჭოს“ შემწეობით. თუ ფუთზე გადასახადი მომატებული იქნება, მაგ. $^3/_4$ და 1 კაპეიკამდე (დღეს $^1/_2$ კაპ.), მაშინ „საბჭოს“ შეეძლება კარგად მოაწყოს მაღაროები, მეხანიკური ჩამოსაზიდავი, ქვის დასაწმენდი ქარხანა და სხვ.

წერილის ბოლოს ავტორი კატეგორიულად თხოულობს, რომ ჭიათურის გზაზე აუცილებლივ შემოღებული უნდა იქმნეს საზოგადო ტარიფი.

საჭიროა აგრეთვე, რომ მარგანეცის მწარმოებლები განგებ არ აფუჭებდნენ ქვას მიწის შერევით და საკუთარის საშუალებით მოაწყონ მარგანეცის უცხოეთში გაზიდვა და არ დაემონონ უცხოელებს, როგორც ეს დღეს ქმნეს უცხოელ სინდიკატის დაარსებით.

ქუთაისი საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა მორიგი კრება

30 მაისს გაიხსნა ქუთ. სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა კრება. ამ კრების გასარჩევი საგნებია: ა) ბანკის 1899—1901 წ. მოქმედების ანგარიშების განხილვა და დამტკიცება; ბ) 1902 წლისათვის ხარჯთა-აღრიცხვის დამტკიცება; გ) თანხის განაწილება საზოგადო საჭიროებათათვის; დ) ბანკის წესდების ზოგიერთი მუხლების შეცვლა და დამტკიცება; ე) მოხსენებანი იმის შესახებ, რომ ბანკმა გააფართოვოს აგენტების მოქმედება სხვა-და-სხვა ქალაქების მამულების დაგირავების შესახებ; ბანკზე დარჩენილი მამულების მართვის შესახებ და შესახებ სხვა ღონისძიებათა, რომელნიც მიმართულნი იქნებიან ბანკის მომავალი მოქმედების გასაუმჯობესებლად; ვ) ბანკის გამგეობისა და ზედამხედველი კომიტეტის იმ წევრთა არჩევა, რომელთაც სამსახურის ვადა გაუთავდათ.

პირველი სხდომა დაიწყო დილის $10^1/_2$ საათზე ზედამხედველი კომიტეტის თავმჯდომარის ლ. თ. ლოლუას თავმჯდომარეობით.

საზოგადოებას წინადადება მიეცა ამოერჩია კრების თავმჯდომარე. ასახელებენ გუბერნიის წინამძღოლს ს. ნ. ლორთქიფანიძეს და ქუთაისის მაზრის წინამძღოლს დ. ო. ნიჟარაძეს. თ. დ. ნიჟარაძემ უარი განაცხადა. კენჭი უყარეს თ. ს. ლორთქიფანიძეს, რომელიც არჩეულ იქმნა 71 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 36-სა.

კრების თავმჯდომარე სთხოვს საზოგადოებას ამოირჩიოს მდივანი (სეკრეტარი). ასახელებენ დ. ბ. მდივანს და გრ. ი. გველესიანს, მაგრამ ორივემ უარი განაცხადა. ზედამხედველი კომიტეტის თავმჯდომარის წინადადებით არჩეულ იქმნა ნ. ა. ფურცელაძე.

კრების თავმჯდომარე კითხულობს ზედამხედველი კომიტეტის სამ მოხსენებას (1899, 1900 და 1901 წ.წ.), სადაც ნათქვამია, ბანკის ანგარიშები ყველაფერი წესიერადაა ნაწარმოებიო.

შემდეგ გამგეობის წევრი ი. პ. ჯაიანი კითხულობს გამგეობის მოხსენებას. ამ მოხსენებიდან სჩანს შემდეგი;

გაუცია გრძელვადიანი სესხი სოფლის მამულის გირაოთი: 1899 წელს—22 მამულზე 30.500 მანეთისა, 1900 წელს—21 მამულზე 43.200 მანეთისა და 1901 წელს—15 მამულზე 15.600 მანათისა; ქალაქის მამულის გირაოთი: 1899 წელს 137 მამულზე 509.300 მანეთისა, 1900 წ. 107 მამულზე —377.100 მანეთისა და 1901 წ. 69 მამულზე 171.400 მანათისა. მოკლე ვადიანი სესხი ბანკს გაუცია: 1899 წელს 39 მამულზე 59.100 მანეთისა, 1900 წ. 8 მამულზე 12.300 მ. და 1901 წ. 6 მამულზე 5200 მანათისა. ბანკის ძირითადი თანხა ამ ჟამად არის 646.212 მან. 17 კაპ., სათადარიგოკი 126.639 მან. 97 კაპ.. საზოგადო საჭიროებისათვის ბანკის დაარსებიდან ბანკს გადაუდვია (მოგების 60%) 695.182 მან. 22 კაპ.. ამ წლის 1-ლ იანვრისათვის ბანკზე დარჩენილ მამულთა რიცხვია, 71, რომლებზედაც თავნი ვალია 145.488 მან. 24 კაპ.

როგორც ამ ცნობებიდან სჩანს, ამ სამ წლიწადში ბანკის მოქმედება თან-და-თან მცირდება; გამგეობა ამას ხსნის ერთი იმით, რომ ბანკი დიდის სიფრთხილით აძლევს სესხსაო, მეორეც იმით, რომ ამ წლებში რუსეთში საზოგადო კრიზისია ფულის ბაზარზეო.

მოხსენების წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარე ეკითხება საზოგადოებას, როგორ გნებავთ, ხვალისათვის გადავდოთ სხდომა, რომ ანგარიშს გაეცნოთ, თუ განვაგრძოთო.

ს. თ. ხუნდაძე საყვედურს უცხადებს გამგეობას, რომ ანგარიში მარტო რუსულადაა დაბეჭდილი. ჩვენში თითქვის ნახევარმა რუსული არ იცის, მაგრამ მათაც აინტერესებთ ბანკის მდგომარეობის გაგება და ამისთვის საჭირო იყო ანგარიშები ქართულად დაბეჭდილიყოო. მისთან ისიც ძლიერ უხერხულია, რომ სამი წლის ანგარიშს ერთად ურიგებენ საზოგადოებას და მასაც კრებაზეო. ის თხოულობს, რომ მომავალში მაინც ქართულადაც დაიბეჭდოს ანგარიშები და ორი კვირით ადრე დაურიგდეთ რწმუნებულთ, რომ ისინი კრებაზე მოსვლამდე გაეცნონ მათ და მარტო თავის ქნევით არ წყვეტდენ ყოველ კითხვას.

დირექტორი ბ. ნ. ერისთავი ქართულად ანგარიშის დაუბეჭდაობაში იმით ამართლებს გამგეობას, რომ გამგეობის თავმჯდომარემ ქართული არ იცის; რაც შეეხება ანგარიშების თავის დროზე დაურიგებლობას, ამის შესახებ ამბობს, ამ ანგარიშებს, ვისაც უნდა, ერთ საათში გაეცნობაო.

ა. თ. ნანეიშვილი მოაგონებს გამგეობას, რომ ამ კითხვების შესახებ წინათაც გვქონდა დავა და დავაკანონეთ, რომ ანგარიშები ქართულადაც დაბეჭდილიყო და თავის დროზედაც დარიგებოდა საზოგადოებას.

უმეტესობა იმ აზრისაა, რომ საჭიროა ანგარიშის ქართულადაც დაბეჭდვაო, და თუ ეს არ მოხდება, იმ შემთხვევაში მოკლე მოხსენება მაინც უეჭველად ქართულადაც უნდა დაიბეჭდოსო.

კრება გადაიდო 31 მაისის დილის 10 საათისათვის.

ამხანაგი

ჰერბერტ სპენსერის ახალი წიგნი

ამას წინად გამოჩენილს მეცნიერს და ფილოსოფოსს სპენსერს შეუსრულდა 82 წელიწადი. ამ დღეს ლონდონში გამოვიდა ახალი თხზულება სპენსერისა, რომელსაც ავტორი თავის უკანასკნელ თხზულებას უწოდებს. ამ წიგნში სპენსერს მოჰყავს ის აზრები და შენიშვნები, რომლებიც სხვა ვრცელ თხზულებებში არ მოუთავსებია, მაგრამ რომლებიც იმდენად საყურადღებოდ მიაჩნია ავტორს, რომ საჭიროდ დაინახა აუცილებლივ მათი გამოქვეყნება. ახალი წიგნი არის კომენტარიები სპენსერის წინანდელ ნაწერებისა და ხელმძღვანელობას გაუწევს იმას, ვინც მოინდომებს დიდებულის მეცნიერის პიროვნების დაახლოვებით გაცნობას. უდიდესი ადგილი სპენსერის ნაანდერძევ წიგნში უკავია იმ აზრს, რომელიც არა ერთხელ გამოუთქვამს მას წინადაც, სახელდობრ, რომ დღევანდელი „ზომიერი“ საზოგადოება, განსაკუთრებით ინგლისის საზოგადოება ბარბაროსობის გზას უბრუნდება, ხელ-ახლა ბარბაროსდება. ამის დამამტკიცებელია ინგლისის პოლიტიკა ბურების შესახებ, საერთო ალტაცება რუდ. კიპლინგისადმი (შოვინისტური მწერალია), გატაცება სპორტით იმ ზომამდე, რომ ხელოვან ატლეტს უნივერსიტეტშიაც-კი გაცილებით მეტს პატივს სცემენ, ვიდრე გამოჩენილს მეცნიერს: მაგ. ლონდონის უნივერსიტეტმა თავის წარმომადგენელად პარლამენტში რამდენსამე კანდიდატებს შორის აირჩია ყველაზედ უფრო ხელოვანი მოთამაშე კრიკეტისა. ყველგან აღორძინდა ბარბაროსული იდეები—პატივმოყვარეობა, ძალმომრეობა და სისასტიკე; დიდს მნიშვნელობას აძლევენ გონებრივ განვითარებას და ძლიერ მცირეს სულიერ აღზრდას და სხ.

სპენსერი წინად ღრმად დარწმუნებული აგნოსტიკი იყო, მაგრამ, როგორც ახალ წიგნში ეტყობა, დღეს იგი არა სთვლის საკმარისად ბუნებრივ ზნეობის სისტემას და თავის ერთს წერილში „რა უნდა უთხრას სკეპტიკმა ღვთის მოსავთ?“ ამბობს, რომ არ უნდა წავართვათ რწმენა მათ, ვინც რელიგიაში ჰპოულობენ ნუგეშსო. ეს უსარგებლოც იქნება და სასტიკიც. ახალის თხზულების ბოლოში სპენსერი კვლავ უბრუნდება იმ საგანს, თუ რამდენად შესაძლებელია ადამიანის გონებისათვის, გაიგოს ცხოვრების და ბუნების საიდუმლონი. „ამ რამდენისამე წლის წინად, სწერს სპენსერი: დაუსრულებელის და საუკუნო სივრცის იდეა აღძრავდა ჩემში გრძნობას, რომელიც მოსვენებას არ მაძლევდა და მუდამ მათრთოლებდა“.

ბახმარო

ბახმარო ეწოდება გურია-აჭარის მთის ერთ მცირე კალთას, რომელსაც 7000 ფ. სიმაღლე აქვს და სამის მხრით შემოზღუდულია უფრო მაღალის მთებით. ბახმაროდან სამხრეთ-დასავლეთისკენ ამართულია გრძელი მთა-გრეხილი, რომლის უდიდესი მწვერვალი, საყორნია, თითქმის 10000 ფუტამდე აღწევს. ბახმარო ცნობილია გურიაში და ერთობ მთელ ქუთაისის გუბერნიაში მშვენიერი ჰავით და მოხდენილი მდებარეობით. ეს ადგილი წარმოადგენს სამხრეთისკენ დაქანებულ გორაკს, რომელსაც შავი ზოლივით გარს არტყია ნაძვის ტყე; სამხრეთით ბახმაროს ჩაუდის ბახვის წყალი, ჩრდილოეთით დაჰყურებს ლამაზი სერი, საიდანაც კარგს დარში თვალ-წარმტაცი სურათი მოჩანს: შორს უზარმაზარი კავკასიონის მთა თოვლით შემოსილ მწვერვალებით, შავი ზღვა და მთელი არე, რომელზედაც გველივით იკლაკნება რიონი...

ბახმარო საკმაოდ დაცულია ყოვლის მხრით; ამ ადგილმა არ იცის სასტიკი ქარი. შავი ზღვის სიახლოვესაც კარგი გავლენა აქვს აქაურ ჰავაზე. ოზურგეთიდან ბახმარომდე დაახლოებით 35—38 ვერსტი იქნება. ამ მთაზე გზა სოფ. ვაკიჯვრიდან მიდის. ოზურგეთიდან ვაკიჯვრამდე (15 ვ.) კარგი საეტლო გზაა, შემდეგ იწყება დაუსრულებელი აღმართი, საცხენოსნო გზა. ადაგ-ადაგ ისეთი ვიწროდ გამოთხრილი დარებია გასავლელი, რომ ცხენი გაჭირვებით იცვლის ფეხს. ცხენებით გადააქვთ მგზავრების ბარგი და ბახმაროსთვის საჭირო ხორაგიც.

ვაკიჯვრიდან ცხენი 3 მ. ღირს; ცხენს თან ახლავს პატრონიც. ამ საქმეში უფრო დახელოვნებულები ვაკიჯვრელები არიან. წინათ ბახმაროს მარტო მწყემსები ეტანებოდნენ, სხვას არავის იზიდავდა იგი. მხოლოდ ამ ბოლო დროს შეიგნეს [illegible] დააფასეს ამ ადგილის ძვირფასი თვისება: გასაოცარია აქაურ ჰავის გავლენა ფილტვებზე: თუ სენი ძალიან გამჯდარი არა აქვს ავადმყოფს, იგი უსათუოდ გამობრუნდება აქ. ამის მაგალითი ბევრი ყოფილა. მეტად სასარგებლოდ მოქმედებს ეს ჰავა აგრეთვე ციებ-ცხელებაზე (მალარია) და ნერვებზე. სულ 7—8 წლის წინად გაჩნდა აქ ორიოდე მოაგარაკე; მას შემდეგ ეს რიცხვი თან და-თან მატულობდა და უკანასკნელ წლებში ათასსაც გადააჭარბა. ბახმაროზე მიდიან საზაფხულოდ, ან, როგორც აქ ამბობენ, „საჰაეროდ“ უფრო გურიიდან და მახლობელ ქალაქებიდან: ბათუმიდან, ქუთაისიდან და ხან-და-ხან ტფილისიდანაც. მდიდრები ნაკლებად სწყალობენ ბახმაროს, რადგან იგი, სხვა აგარაკებთან შედარებით, ჯერ სრულიად მოუწყობელია. ფუფუნებასა და განცხრომას ჩვეულ ადამიანისათვის ეს ადგილი ჯერ-ჯერობით საცხოვრებლად მოუხერხებელია და მოსაწყენიც. ამ ადგილს უფრო ხელმოკლე, მშრომელი ხალხი ეტანება, რომელიც ბედისაგან არ არის განებივრებული და ამიტომ ცალიერ ჰავითაც კმაყოფილდება..

ბახმაროზე ამ ჟამად ასამდეა სახლი (ოდა). მიწა სახაზინოა და იჯარით იძლევა: 200 ოთხკუთხი საჟენი წელიწადში 2 მ. აქ არის საზოგადოების საკრებულო სახლი, რომელშიაც მოთავსებულია სამკითხველო. დრო გამოშვებით ამ სახლში წარმოდგენები იმართება. იქვე გამართულია კეგელბანი, რომლის შემოსავალი სამკითხველოსა და სხვა საზოგადო საჭიროებათ ხმარდება. ბახმაროს მიდამო მეგრელ მწყემსების ხელშია, რომელნიც ყოველ წლობით იღებენ აქ იჯარით საძოვარ ადგილებს. ამ მწყემსებისაგან „მეჰაერენი“ ყიდულობენ ყველს, რძეს და მაწონს. ცოტა მოშორებით (3—5 ვ.) იელებში აჭარლები ბინავდებიან. „იელა“ აჭარული

აგარაა, სადაც ზაფხულობით საქონლით მიდიან. ბახმაროში ხშირად შეხვდებით აჭარლებს; ისინი აქ ყიდიან კარაქს, ქათამს, კვერცხს და სხვ... სეზონი აქ დაახლოებით 15 ივნისიდან იწყება. ვინ იცის, რამდენი ავადმყოფი გულის ფანცქალით მოელის იმ დროს, როდესაც ის შეუდგება ბახმაროს აღმართს, ხარბათ დაეწაფება მთის მსუბუქ ჰაერს.

ერთობ ცუდ პირობებში ცხოვრობს მეჰაერეთა უმრავლესობა: არც რიგიანი საჭმელი, არც შესაფერი ბინა; თითო ოთახში ხან-და-ხან 10—12 სული ცხოვრობს; მაგრამ ცხოველ-მყოფელ ჰავის გავლენა ამისთანა პირობებშიაც შესამჩნევი ხდება. ამ მხრივ ფრიად შესანიშნავია ბახმარო და მეტად საჭიროა, ამ ადგილის განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს. აქ ბევრი რამ არის საზრუნავი. საღი სანოვაგე ადგილობრივ დუქნებში იშვიათად იშოვება. ამ გარემოებას კარგა ხანია მიაქციეს ყურადღება და გასულ ზაფხულს საზოგადოებამ გადასწყვიტა იქონიოს ბახმაროზე კარგი ფურნე და სავაჭრო სახლი; განზრახვა აქვთ იჯარით გასცენ ეს ფურნე და სახლი რიგიანი პირობებით და ამნაირად უზრუნველ ჰყონ აგარაკი საუკეთესო პურით და სხვა საჭირო ხორაგით. ამ საქმის მოწყობა 500 მ. ჯდება და ეს ფული კერძო შემოწირულებით უნდა შეგროვდეს. იმედია, საზოგადოება სრულის თანაგრძნობით მოეპყრობა ამ სასარგებლო საქმეს. სანიტარული მდგომარეობაც ვერ არის სასურველი; უსუფთაობის მიზეზი უმთავრესად საქონელია, რომელიც თავისუფლად ტრიალებს აქაურ ქუჩებზე. მეტად საჭიროა ბახმაროსათვის აგრეთვე სეზონის განმავლობაში ექიმი. მაგრამ უაღრესი საჭიროება, რომლის დაკმაყოფილებაც ამ ადგილს ბრწყინვალე მერმისს უქადის, არის საურმე გზა. ამის შესახებ რამდენჯერმე აღძრეს შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, მაგრამ ჯერ-ჯერობით პასუხი არ ისმის.

№.

* * *

ქიზიყის მიწად-მფლობელობისა და გამიჯვნის ამბები

ქიზიყში სულ განსხვავებული მიწის მფლობელობა იყო, ვიდრე სხვა ჩვენს ქვეყნის მხარეში სადმე. სულ ოთხი ხუთი წელიწადია, რაც გამიჯვნა დაიწყო. წინად კი გამიჯვნის სახელიც არ იცოდნენ აქ. მიწის კერძო საკუთრება-მფლობელობა აქ სულ ცოტა იყო. დასაკუთრებული ჰქონდათ სასახლ-კარე, სავენახე, საბოსტნეები და სოფლის ახლო-მახლო მდებარე ალაგები დანარჩენი სახნავ-სათესი თუ სათიბ-საძოვარი ალაგები სულ საერთო სასოფლოდ ითვლებოდა და საერთო მფლობელობაში იყო. ყოველ სოფელს გამოყოფილი ჰქონდა სხვა სოფლიდან, მხოლოდ საერთო სასოფლო მამულით კი ყოველი სოფელი ცალკე-ცალკე სარგებლობდა, რამდენიც თვითეულ მათგანს სურდა, და მისი დამშლელი არავინ იყო. ეს კია, რომ რაკი რომელიმე მათგანი დაიჭერდა რომელსამე ნაჭერს, იგი იმ დრომდე სარგებლობდა ამ ნაჭრით, ვიდრე სურდა და თავის ნებით არ დაანებებდა თავს შესასვენებლად თუ სხვა რაიმე განძრახვით. თავისუფლადვე მოქმედებდნენ—და გლეხებთან ერთად—სასულიერო წოდება, აზნაურნი და სხვა თავისუფალი ხალხიც. მფლობელობდნენ საერთო სასოფლო მიწით რამდენის მოხმარებაც კი შეეძლოთ იმდენით, და ამათი დამშლელი და შემკავებელი არავინ იყო. მიწის ფასს არც გლეხი იხდიდა დ არც სასულიერო წოდება დ აზნაურნი ხომ არა რაიმე გადასახადს არ იხდიდნენ ხაზინის სასარგებლოდ. სასულიერო წოდება, როგორც უფრო ეკონომიურად უკეთესად მოწყობილი, ბლომა მიწებს იმუშავებდა ხოლმე და დიდძალ პურსა და ქერსა ჰყიდდნენ. მინდორში სულ ერთნაირად ირჯებოდნენ ხლეხნიც და სასულიერო წოდებაც და ეს იყო კიდეც ის უმთავრესი მიზეზი, რომ აქაური სამღვდელოება ბევრად შეძლებული იყო და არის ჯერაც სხვა მხრისაზე. სასულიერო წოდება და აზნაურობა გლეხებთან ისე იყვნენ შეთვისებულები, რომ მათში არავითარი განხეთქილება და დავიდარაბა მამულის თაობაზე დღემდის გამიჯვნისა არავის ახსოვს მამულის თაობაზე ჩხუბი და დავიდარაბა, თუმცა აქ ძალიან გახშირებული იყო, რომელიც ხშირად რამდენიმე მსხვერპლით თავდებოდა ხოლმე სოფელსა და სოფელ შორის. 1895 წ. დაიწყო ქიზიყში გამიჯვნა და ამ დროიდან კი თავი იჩინა თავისუფალ პირთა და გლეხთა შორისაც და ნამეტნავად გახშირდა 1900 წ., როდესაც გამიჯვნა შეეხო გარეშე სასოფლო საერთო მიწებს. ჯერ ისევ გამიჯვნის დროს მიწის მზომელს თან დასდევდნენ ხაზინის წარმომადგენელნი აგენტები და სადაც კი მზომელი მივიდოდა, ყველას სახელმწიფოდ აცხადებდნენ და სოფლიდან ამორჩეულ გლეხებსაც ამასვე ამეორებინებდნენ. თუმცა ზოგი სოფლების შესახებ გაირჩა კიდევაც საქმეები მამულის თაობაზე ოლქის სასამართლოში და სამმართველომ გამოაცხადა, ვიდრე საბოლოვოთ დაბოლოვდებოდეს, მიწა იმათსავე მფლობელობაში დარჩეს, ვისაც მფლობელობაში იყო გამიჯვნის დროსაო, მაგრამ გაქეზებულნი გლეხნი ზოგიერთ სოფლებში არ უცდიან სამართლის მჯავრის დადებას და თავისუფლათ ერეკებიან მამულიდან თავისუფალ ხალხს. ახლაც, ამ მაისში თავს დაეცა რამდენიმე ათი კაცი აზნაურ კ. ნაცვლიშვილს მინდორში, წაართვეს იარაღი, გუთანი და მერე თავისი ბიჭებით და საქონლით სოფელში გამორეკეს, თუმცა ამავე ნაცვალოვს მამაპაპით უსარგებლნია ამ მიწებით. ესევე ხდება ხოლმე ტიბაანში, მაჩხაანებში და სხვაგან. სადაც კი გამიჯვნა გათავდა, ყველგან ეს ამბები ხდება და სადაც ეხლა იმიჯვნება, იქაც თანდისთან ჩხუბი და აყალმაყალი თავს იჩენს. ამავე მაისში გვეწვია წინამხარ ქიზიყელებს ტფილისის გამიჯვნელ ოლქის სამმართველოს წევრი ბ. ხავსკი რომელიც ადგილობრივ იძიებს მამულის მფლობელობას.

ავათ იყო თუ კარგათ, დაამთავრა პატივცემულმა წევრმა—ხავსკიმ გამოძიება და დაბრუნდა ტფილისში. ახლა შემოდგომაზე ოლქის სამმართველო განიხილავს ამ საქმეს. გულის ფანცქალით ელის მთელი ქიზიყის სასულიერო წოდება და აზნაურობა თუ რითი დაბოლოვდება საქმე. თუ მართლა წააგეს ეს მამულები, ბევრი ოჯახი დარჩება ულუკმა პუროთ, რადგან აქაური სასულიერო წოდებას, რომელიც სამსახურში აღარ არის და აზნაურობა, რომელიც მარტო ხვნა თესვითა ცხოვრობენ, სადაც ამათ მამაპაპას სისხლი დაუნთხევია და თავის სისხლის ფრქვევით შეუნარჩუნებია, მიწები, დღეს ხაზინა ედავება.

* * *

უცხოეთის წვრილი ამბები

გვირგვინის კურთხევისთვის ქალთა სადღესასწაულო მორთულობა ესპანიის სასახლეში. გაზეთი „ფიგარო“ აგვიწერს დიდებულ ტანსაცმელს და სამკაულს, რომლითაც დართულნი იყვნენ მეფე ალფონს მეცამეტის გვირგვინის კურთხევის დროს ესპანიის სასახლის მანდილოსნები. დედოფალს, დედას მეფისას, ეცვა ნაცრის ფერი მარგალიტის ატლასის კაბა, რომლის შლეიფიც მტრედის ფერი აბრეშუმის მუსელინით იყო შემოვლებული, მხრებზე წამოსხმული ჰქონდა დედოფალს ცისფერი ხავერდის მანტო ვერცხლით. თმებში ნაცრის ფერი ფრთები კონიდან გამოსჭვიოდა ალმასის ეგრეტი. ყელზე რა-ს მდენჯერმე შემოვლებული ჰქონდა დიდებული ბრილიანტების გულსაკიდი მსხვილი ფირუზის შესაკვრელით. ფეხზე ეცვა ნაცრისფერი აბრეშუმის ბაშმაკები ფირუზების შესაკრავით.

ინფანტა (მეფის ასული) მარია ტერეზას ეცვა ვარდისფერი ატლასის კაბა მარგალიტით მორთულ-შემკული. ასტურიის პრინცესას ეცვა ტრედისფერი კაბა, „სატან ბროშე“, რომლის შლეიფიც მოვლებული იყო ცისფერი აბრეშუმის მუსელინით; თავის მორთულობა ჰქონდა ინგლისურის კრუჟევების ვუალით ძვირფასი თვლებით შემკული. პრინცესა იზაბელას ეცვა ნაცრისფერი კაბა ზურმუხტებით მოფენილი. სასახლის ქალთა შორის ყველანი ალტაცებაში მოიყვანა კამესარა მოიორმა. იმას ეცვა იისფერი ატლასის კაბა ფირუზის ბაფთა მოვლებული და ოქროს ქსოვილით, მარგალიტით და ძვირფასის თვლებით მთლად მოფენილი. დედოფლის მხლებელ ქალებს ეცვათ შავი ხავერდის კაბები ვერცხლით ნაკერი და ვერცხლისავე პირ-ბადეები ბრილიანტებით მოჭედილი, თავზე შავი ხავერდის ბრილიანტებით მოჭედილი ჯიღები. მთელი ესპანიის კეთილშობილი ქალები ერთმანეთს ეჯიბრებოდენ სილამაზით, სიკეკლუცით, მშვენიერის ტანთსაცმლით და ძვირფასის სამკაულით. ყველაზე უმშვენიერესს კაბებთა რიცხვში იყო თეთრი კაბა ლალით მთლად მოჭედილი და ყვითელი ატლასისა, ინგლისურ კრუჟევა მოვლებული, შავი მარგალიტით ნაკერი. ყველა ქალებს ვუალები ჰქონდათ კრუჟევისა ძვირფასი თვლებით მოჭედილი. ამ ქალების მორთულობა ფასობს ოც-და-ოთხ მილიონ მარკად (მარკა ჩვენებურად ექვსი შაურია).

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

31 მაისი

პეტერბურგი. „კანონთა კრებულში“ დაბეჭდილია: „თანახმად უმაღლესის ბრძანებისა, დალნის ქალაქის უფროსის თანამდებობა დროებით ჩაჰბარდა ნავთსადგურის და ქალაქის მთავარ ინჟინერს“.

ლონდონი. „ტაიმს“-ს ატყობინებენ პეკინიდან, რომ ბრიტანიის ელჩი დასთანხმდა, ორი პროცენტით შეამციროს ჩინეთის სამხედრო კონტრიბუცია.

პრეტორია. ოთხშაბათამდის 11,022 კაცმა დაჰყარა იარაღი.

ვარშავა. დღეს მეორე დღეა, რაც ვარშავის სამხედრო ოლქის სასამართლოში არჩევენ გრიმის საქმეს; დარბაზში უშვებენ მხოლოდ უმაღლესს სამხედრო პირებს. საქმის გარჩევას ესწრება ჯარების უფროსი გენერალ—ადიუტანტი ჩერტკოვი.

ჰელსინგფორსი. ფინლიანდიის სენატს უმაღლესად ებრძანა გამოაქვეყნოს დადგენილებანი რუსულის, ფინურის და შვედური ენების ხმარებაზე სასამართლოებში და სახელმწიფო დაწესებულებებში. თანამდებობის პირნი, რომელთაც ევალებათ რუსული ენის ცოდნა, მთხოვნელთა სურვილისამებრ, პასუხს რუსულს ენაზე მისცემენ, დანარჩენები წარმოადგენენ თხოვნასთან რუსულს თარგმანს. ადგილობრივი ენების ხმარება შეეთანხმება იმ ენას, რომელზედაც ამა თუ იმ თემში ლაპარაკობენ.

ცარსკოე-სელო. ქალთა განათლების და მოღვაწეობის საბაღოსნო და საბოსტნეულო საქმეში დამხმარებელი საზოგადოების კლასები იხსნება.

გასწორება. პეტერბურგიდან მოსულს გუშინდელს დეპეშაში შეცდომა მოუვიდა; უნდა ყოფილიყო: „სახელმწიფო საბჭოსი, ტაინი სოვეტნიკი შამშინი, ხარკოვის სამოსამართლო პალატის თავმჯდომარე, ტაინი სოვეტნიკი ჩერნიავსკი და სხვა.

გამომც. და რედ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 24 მაისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,15	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	37,40	
ლონდონზე ჩეკები	94,90	
ბერლინზე „	46,30	
პარიზზე „	37,62½	
ბირჟის დისკონტი	4½—6½%	
4% სახელმწიფო რენტა	96¾	გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	98¾	მყიდვ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—	
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	—	
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	475	გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	362	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	292	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	88⅜	„
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	83¼	„
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	89⅝	„
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—	
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	182	„

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.) 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (2 ს 28 წ.).

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5 სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.)

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან —№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

მთაწმინდაში, პრიუტის ქუჩაზე, № 17 ჟურულის სახლში

ქირავდება ოთხი ოთახი,

შეიძლება ორ-ორი ოთახი ცალ-ცალკეც.

---

21 მაისს,

ტფილისიდან დუშეთში მიმავალ გზაზე

დაიკარგა პორტმანი,

მწვანე ტყავისა, ფულებით, ალმასრულ. ფურცლებით და სხვ. ვინც იპოვა, მას უმორჩილესად ვსთხოვ მოიტანოს ამ ადრესით: ბაქოს ქუჩა, თავ. თუმანოვის სახლში, № 7.

ვინც მოიტანს აღნიშნულ დოკუმენტებს, ის, იმ ფულების გარდა, რომელნიც პორტმონეში იყო, კიდევ **შესაფერ ჯილდოს მიიღებს.**

გრიგოლი ადამის ძე ყარანგოზიშვილი.

ზ ი ს

ნახშირის საწყობი

იაგორ მამინაიშვილისა

(საკუთარი ტყიდან)

გრის მოედანზე, ყაფანთან

ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი **ნახშირი:**

შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.).

ტელეფონი № 754. (.წ).

მაღაზია

ნ. ა. საზაევისა და ფ. ს. ფილიპოვისა

ქ. ქუთაისში

გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პატივცემულ **ქუთაისის და ქუთაისის ახლო-მახლო სოფლების საზოგადოებას,** რომ ჩვენს მაღაზიაში გვაქვს მუდამ მრავალ-გვარი **ფარფორის და ფაიანსის საქონელი** სხვა-და-სხვა ხრუსტალის და შუშეულების ნაწარმოები, ვარშავისა და საზღვარ-გარეთელი ლამპები. საზღვარ-გარეთელი რკინეული საელემენტო ჭურჭლეულობა უმაღლესი ხარისხისა. სპილენძის ჭურჭლეულობა, სამოვრები და ყოველ-გვარი საოჯახო კუთვნილებანი. მელხიორის და ბრიჯაოს ნაწარმოებნი. ვენის გაღუნული ბამბუკის სახლის ავეჯეულება. ინგლისური და ვარშავის კრაოტები და მატრაცები. სხვა-და-სხვა კედლის და სატუალეტო სარკეები. კლიონკები და ლინოლეუმები პოლისთვის. რუსული და საღვარ-გარეთელი გიტარები, სკრიპკები და სტრუნები ყოველ-გვარი. საეკკლესიო კუთვნილებანი.

ყველაფერი ისყიდება **ზომიერ ფასად და უვაჭროდ.** (45—32)

Дозволено цензурою Тифлисъ, 1 Іюня 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობისა.